491-ქხ2.1(077)
მ - 743

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო
პედაგოგიური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მანანა გიორგის ასული მიქაძე

# ქართული ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების სწავლება საშუალო სკოლაში

13.00.02. – ქართული ენის სწავლების მეთოდიკა

## ავტორეფერატი

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1997

№ 118

ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ექსპერტი: ქ. მაჭარაშვილი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ოფიციალური ოპონენტები: 1. რ. ბაბუჩავა, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

2. ვ. გოგოლაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

3. ბ. იმნაძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წამყვანი ორგანიზაცია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის 22 იანვარს, 12 საათზე, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს PD 13.00. C № 1 სხდომაზე (380079. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 32).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 1997 წლის 11 დეკემბერს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი /ც. ლოლაძე/

წარმოდგენილ დისერტაციაში განხილულია ქართული ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების (ზმნიზედის, თანდებულის, კავშირის, ნაწილაკისა და შორისდებულის) სწავლება საშუალო სკოლაში თანამედროვე ენათმეცნიერების, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, მეთოდიკის მიღწევების, მოწინავე მასწავლებელთა მუშაობისა და პირადი გამოცდილების შესწავლა-განზოგადების, სპეციალური ცდების, დაკვირვებისა და ექსპერიმენტის ჩატარების საფუძველზე.

დღეს, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირობებში, ეროვნული სკოლა განსაკუთრებული ამოცანის წინაშე დგას – აღზარდოს ღირსეული მოქალაქე, ამ ამოცანის გადაწყვეტა კი, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მოვალეობაა. ამიტომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, ქართული ენა ხომ ქართულ სკოლაში არა მარტო ერთ-ერთი საგანია, არამედ სხვა საგანთა სწავლების საფუძველიც, ამიტომაც მის მაღალ დონეზე დაუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მასზეა დამოკიდებული ქართული ლექსიკოლოგიის, ფონეტიკის, გრამატიკის, მართლწარმოთქმისა და მართლწერის საკითხების შეგნებული ცოდნა.

გრამატიკის ელემენტებს მოსწავლეები ეცნობიან დაწყებით სკოლაში, ხოლო სისტემატურ კურსს ეუფლებიან V-IX კლასებში. გრამატიკის სწავლებას უდიდესი სასწავლო-აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ამოცანები აკისრია. მშობლიური ენის გრამატიკა არის სკოლაში მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საერთო სისტემის არსებითად გაუმჯობესების, მათი შემოქმედებითი ძალების ინტენსიური განვითარების, ჰარმონიული აღზრდის, თეორიული და